განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ხაჩიძე

წევრი:

ირინე ფხაკაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 212703546

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული კოლეჯი
- [x] საზოგადოებრივი კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

{ქალაქი, წელი}

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 21 სექტემბრის N858 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ავტორიზაციის ჯგუფს (ჯგუფის თავმჯდომარე - ნინო ხაჩიძე, ჯგუფის წევრი - ირინე ფხაკაძე) დაევალა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 9 აგვისტოს N 13 სხდომის ოქმის საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული ხარვეზების აღმოფხვრის შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი) შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებელში (ს/კ 212703546, მისამართი: ქ. ქუთაისი, კიევის ქუჩა N10).

დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა მიმდინარე წლის 11 და 12 ოქტომბერს და წარიმართა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის შესაბამისად. აღნიშნული დღის წესრიგი ბრძანებასთან ერთად წარედგინა დაწესებულებას ვიზიტის დაწყების წინ. ვიზიტის პერიოდში შემოწმდა შპს ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის მიერ ხარვეზების აღმოსაფხვრელად განხორციელებული ქმედებები.

ავტორიზაციის საბჭოს N13 სხდომის ოქმის საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა დაწესებულების შენობა. დაწესებულებამ ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად გადადგა შემდეგი ნაბიჯები:

- შენობის ფასადის მხრიდან მოწყობილ პანდუსს გაუკეთდა მოაჯირი;
- შენობის ფოიე და კორიდორები კოსმეტიკურად შეიღება;
- პირველ სართულზე განთავსებულ სველ წერტილებს პროფესიული სტუდენტებისა და შშმ პროფესიული სტუდენტისთვის გაუკეთდა კარებები და დასუფთავდა;
- შენობის დასუფთავების მიზნით საჭირო მასალა და ინვენტარი ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას აღარ არის განთავსებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--- --- ---

{ქალაქი, წელი}

ქვესტანდარტი 1.1 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ა) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგები შინაარსობრივ შესაბამისობაში არ არის პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და პროფესიულ სტანდარტთან. შესაბამისად პროფესიულ სტუდენტს უწევს იმ სწავლის შედეგებზე გასვლა, შეფასება და კრედიტის დაგროვება, რაც პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული არაა.	დაწესებულებამ უფლებამოსილი პირის - კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N21კ §2 / 29.06.2018) ცვლილება შეიტანა ფარმაცევტის თანაშემწის (090351) მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და სწავლის შედეგების ცხრილიდან ამოიღო პროფესიული სტანდარტით გაუთვალისწინებელი სწავლის შედეგი - "შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა" (დანართი 27), თუმცა პროგრამიდან არ ამოიღო პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი. შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტს კვლავინდებურად უწევს იმ სწავლის შედეგზე გასვლა, შეფასება და კრედიტის დაგროვება, რომელიც პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული არ არის. ანუ დაწესებულება ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებისთვის გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 2 კრედიტს უთმობს იმ სწავლის შედეგს და მის შეფასებას, რომელსაც საერთოდ არ მოიცავს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული 2 კრედიტი აკლდება სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.

1.1 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

{ქალაქი, წელი}

ქვესტანდარტი 1.2 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ბ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
კატალოგში საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები არასრულადაა წარმოდგენილი. ამასთან, ბეჭდური და ელექტრონული კატალოგი არ არის თანხვედრაში ერთმანეთთან და არ ხორციელდება მისი ყოველწლიური განახლება.	დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბეჭდურ და ელექტრონულ კატალოგში საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები სრულადაა წარმოდგენილი. ისინი თანხვედრაში არიან ერთმანეთთან. შესაბამისად განხორციელებულია მისი განახლება (დანართი 2). განახლებული ვერსია განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე (www.kmc.edu.ge).

1.2 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 1.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი გ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულების მიერ განხორციელებული ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტს, გამომდინარე პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგებისა. ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა პროფესიულ სტანდარტს მიღმაა, რადგან სტანდარტით გაუთვალისწინებელ	დაწესებულებამ დირექტორის ბრძანებით (N21კ §2 / 29.06.2018) ცვლილება შეიტანა ფარმაცევტის თანაშემწის (090351) მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში და სწავლის შედეგებიდან ამოიღო პროფესიული სტანდარტით გაუთვალისწინებელი სწავლის შედეგი - "შეუძლია პირველადი დახმარების აღმოჩენა". მიუხედავად ამისა, დაწესებულებამ პროგრამიდან არ ამოიღო პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სასწავლო კურსი. აღნიშნული სასწავლო კურსისთვის გათვალისწინებულია 2 კრედიტი (დანართი 3). აქედან გამომდინარე,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

სწავლის შედეგებზეა გამსვლელი. შესაბამისად, დარღვეულია ქვესტანდარტი 1.3.	დაწესებულება ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებისთვის გათვალისწინებული 120 კრედიტიდან 2 კრედიტს უთმობს იმ სწავლის შედეგს და მის შეფასებას, რომელსაც საერთოდ არ მოიცავს ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიული სტანდარტი. შესაბამისად, ზემოაღნიშნული 2 კრედიტი აკლდება სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებს.

1.3 ქვესტანადრტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 1.4 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი დ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
საქართველოს სამოქალო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის (არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტწლამდე) ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა. შესაბამისად, არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და მისი წარმომადგენლის (მშობელი/მეურვე) პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება კანონიერი წარმომადგენლობა; აღნიშნული გაწერილი	დაწესებულებამ დირექტორის ბრძანებით (N20/კ / §1 / 25.06.2018) ცვლილება შეიტანა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესში და პროცედურულად გაწერა, თუ როგორ განხორციელდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება (დანართი 4). შესული ცვლილებების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვებისთვის საჭიროა აპლიკანტმა ადმინისტრაციაში წარადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის მშობელი/მეურვე) განცხადება; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანის შემთხვევაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

უნდა ჰქონდეს დაწესებულებას სტუდენტთა ჩარიცხვის წესშიც; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება, ხოლო ამავე კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, რაც არ იქნა გათვალისწინებული კოლეჯის თანამშრომლების მიერ, რადგან ერთი კონკრეტული ქეისის შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს არავინ აწერს. არასრულწლოვანი პირის დარეგისტრირებისას მის პირად საქმეში სხვა დოკუმენტებთან ერთად, აუცილებლად უნდა იდოს არასრულწლოვანი პირის დაბადების მოწმობის და წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლები, რომლითაც დადასტურდება მისი კანონიერი წარმომადგენლობა. დაწესებულებას თავისივე რეგულაციით გაწერილი აქვს, რომ არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში განცხადებას წერს წარმომადგენელი. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებამ დაარღვია, როდესაც არასრულწლოვანმა პირმა დაწერა განცხადება და მისთვის სტუდენტის სტატუსის მინიჭება განახორციელა დირექტორის ბრძანებით;	დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი); გ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი ან განათლების დამადასტურებელი იმ დოკუმენტის ასლი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის გარეშე; დ) პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სერტიფიკატი ან დიპლომი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე კომპლექტდება სტუდენტის პირადი საქმე, რომელიც გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტაციას: ▪ სასწავლებელსა და სტუდენტს (არასრულწლოვანის შემთხვევაში კანონიერ წარმომადგენელს) შორის გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებას; ▪ ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერს; ▪ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტს. რეგულაციაში შესული ცვლილებების შესაბამისად, დაწესებულება ვალდებულია განახორციელოს რეგისტრანტისთვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

{ქალაქი, წელი}

უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბერი №98/ნ ბრძანების „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესის“ საფუძველზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე დაწესებულებამ უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენთან (ატესტატი) ერთად სტუდენტისგან უნდა ჩაიბაროს, სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრიდან გაცემული დოკუმენტი - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარება. აღნიშნული რეგულაცია დაწესებულებას გაწერილი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა ჩარიცხვის წესშიც და ითვალისწინებდეს სტუდენტის პირადი საქმის დაკომპლექტებისას; სტუდენტის სტატუსის აღდგენას დაწესებულება თავისივე რეგულაციის დარღვევით ახორციელებს. იმისთვის, რომ დაწესებულებამ უზრუნველყოს თავისივე რეგულაციის დაცვა, შესაძლებელია სტუდენტის სტატუსის შეჩერება არა კონკრეტული ვადის დათქმით, არამედ 2 წლამდე ვადით. შესაბამისად, დაწესებულებას ექნება ლავირების შესაძლებლობა.	შესაბამისად, გადამოწმდა 2018 წლის საშემოდგომო მიღების პროფესიულ სტუდენტთა პირადი საქმეები, რათა დაგვედგინა, რამდენად სწორად განახორციელა დაწესებულებამ სტუდენტისთვის სტატუსის მოპოვების პროცედურები. პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეების გადამოწმებით კვლავაც გამოვლინდა რიგი დარღვევები. კერძოდ: ▪ ორი არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არ იდო დაბადების მოწმობის ასლები, რომლებიც დაწესებულებამ წარმოადგინა ვიზიტის მეორე დღეს; ▪ ერთ-ერთი პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში არ დევს პირადობის მოწმობის ასლი. ამასთან, მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მხარეთა ხელმოწერების ადგილას, მითითებულია პროფესიული სტუდენტის სახელი, გვარი, თუმცა არაა ხელმოწერა (დანართი 5); ▪ სტუდენტის სტატუსის მოპოვების მიზნით შესავსები განცხადების ფორმა რეგისტრანტის პირადი მონაცემების გარდა, მოიცავს აღნიშნული რეგისტრანტის ჩარიცხვის ბრძანების ნომერსა და თარიღს. აღნიშნული ინფორმაცია ივსება რეგისტრანტისთვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების შემდეგ. პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ერთი პროფესიული სტუდენტის განცხადებაში, აღნიშნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	ინფორმაცია არ არის შევსებელი (დანართი 6). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასევე გადამოწმდა დაწესებულების მიერ დაფიქსირებული ხარვეზების გამოსასწორებლად გადადგმული ნაბიჯები. ▪ დაწესებულების მიერ იმ ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელი იყო, რომელიც ეხებოდა არასრულწლოვანი პირის მიერ განცხადების დაწერის ფაქტს. დაწესებულებამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსასწორებლად არასრულწლოვან პროფესიულ სტუდენტს პირად საქმეში ჩაუდო მხოლოდ მშობლის პირადობის მოწმობის ასლი. ექპერტებმა კოლეჯის წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ კანონიერი წარმომადგენლობის დასადასტურებლად უაცილებელი იყო სტუდენტის პირად საქმეში ასევე დებულიყო დაბადების მოწმობის ასლი. დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლიც. ასევე, დაწესებულებამ 12 ოქტომბრის თარიღით გააფორმა სტუდენტთან ახალი ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია და შენიშვნაში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მეორე წელია და ხარვეზის გამო მასთან ფორმდება განმეორებითი ხელშეკრულება. (დანართი 7). ▪ დაწესებულების მიერ იმ ხარვეზის გამოსწორებაც შეუძლებელი იყო,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--- --- --- ---

	რომელიც ეხებოდა კვლავაც არასრულწლოვანი პირის მიერ განცხადების შევსების ფაქტს და ხელშეკრულებაზე ხელმოწერის არარსებობას. დაწესებულებამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსასწორებლად სტუდენტს პირად საქმეში ვიზიტამდე ჩაუდო მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო კანონიერი წარმომადგენლობის დასადასტურებლად ვიზიტის მეორე დღეს წარმოადგინა სტუდენტის დაბადების მოწმობის ასლი. ამავე ხარვეზის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ 12 ოქტომბრის თარიღით პროფესიულ სტუდენტთან გააფორმა ახალი ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია და შენიშვნაში მითითებულია, რომ პროფესიული სტუდენტი სწავლობს მეორე წელია და ხარვეზის გამო მასთან ფორმდება განმეორებითი ხელშეკრულება. ხელშეკრულების რამდენიმე გრაფა შეუვსებელია (დანართი 8). დაწესებულებამ დირექტორის ბრძანებით (N20/კ / §1 / 25.06.2018) ცვლილება შეიტანა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესში და პროცედურულად გაწერა, რომ უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტისგან მოითხოვდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

_____ _____

	ეროვნული ცენტრის მიერ გაცემულ - უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტს. პროფესიული სტუდენტის პირად საქმეში, რომელსაც განათლება მიღებული აქვს უცხოეთში, დევს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების დოკუმენტი. ამავე რეგულაციაში შესული ცვლილებით, დაწესებულებამ ასევე განსაზღვრა პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის შეჩერება არა ზუსტად 2 წლით, არამედ 2 წლამდე ვადით. ამასთან სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში სწავლის გაგრძელების დასაშვებ ეტაპად აღარაა განსაზღვრული მხოლოდ ის ეტაპი, როდესაც მოხდა მისთვის სტატუსის შეჩერება. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს შესაძლებლობა მოთხოვნის შემთხვევაში ვადამდე ადრე აღუდგინოს სტატუსშეჩერებულ სტუდენტს სტუდენტის სტატუსი, რისთვისაც სასწავლო მდივნის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ უნდა შედგეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. თუმცა დაწესებულება პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის ვადამდე ადრე აღდგენის ფაქტს ვერ გამოასწორებდა, რადგან სამართლებრივად მისი აღმოფხვრა შეუძლებელი იყო.

1.4 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 1.6 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 6 / პუნქტი ვ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

დაწესებულება არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას. შესაბამისად შედეგებსაც ვერ გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რაც ქვესტანდარტის დარღვევაა.	დაწესებულებას დირექტორის 2014 წლის 9 ივნისის №21/კ ბრძანებით დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ინსტრუქცია, რომლითაც უნდა უზრუნველყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასება. დაწესებულების წარმომადგენლებმა, წინა ვიზიტისას, წინა წლებში შევსებული კითხვარების წარმოდგენა ვერ შეძლეს, თუმცა მხოლოდ 2014 წლის წარმოადგინეს უკანასკნელი ვიზიტის მიმდინარეობის პროცესში. შემდგომ წლებში დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება აღარ განხორციელებულა, ხოლო 2014 წლის ფორმების გაანალიზებისას გამოიკვეთა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის შემფასებლები იყვნენ ერთი და იგივე პიროვნებები (დანართი 9, დანართი 10). წარმოდგენილი პროფესიული პროგრამების შეფასების ფორმის გარდა, დაწესებულებამ წარმოადგინა კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის, კითხვარი სტუდენტთათვის პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის და სასწავლებლის ადმინისტრაციული სამსახურის მუშაობის შესაფასებლად (დანართი 11, დანართი 12, დანართი 13), თუმცა ისინი არ იყო დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული. ასევე აღნიშნული კითხვარებით ან სხვა რომელიმეთი პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა დაწესებულებას არ განუხორციელებია. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ მეორე კურსელებისთვის კოლეჯში სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ---

	პროცესი დაიწყო 17 სექტემბერს. შესაბამისად, ექსპერტთა განმეორებით ვიზიტამდე დაწესებულებას ჰქონდა საკმარისი დრო პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვისთვის და მიღებული მონაცემების გასაანალიზებლად, რომლებიც შეეძლოთ გამოეყენებინათ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შესატანად და პროგრამების განსავითარებლად. დაწესებულების განმარტებით, ისინი აპირებდნენ აღნიშნული კითხვარებით პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვას მიმდინარე წლის ნოემბრში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულება კვლავაც არ ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას. აქედან გამომდინარე, შედეგებსაც ვერ გამოიყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

1.6 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი ვერ აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 2.6 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი ვ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, რის გამოც ირღვევა ქვესტანდარტი. დირექტორის ბრძანებით პირველი სამედიცინო დამხარების აღმოჩენაზე პასუხისმგებლობა ევალება სასწავლებლის ექიმ-მასწავლებელს, ხოლო მისი არ ყოფნის პერიოდში ლაბორანტს, განათლებით მედდას.	დაწესებულების შინაგანაწესით ირკვევა, რომ სასწავლებელი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების გასაწევად, რისთვისაც არსებობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. პირველად სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირებს ბრძანებით გაწერილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--- --- ---

დაწესებულება ასევე არ ახორციელებს მედიკამენტების აღრიცხვას, ხოლო პროფესიულ სტუდენტთა თქმით, კოლეჯს არ ჰყავს მედდა.	აქვთ ფუნქცია-მოვალეობები, რომელთა შესრულებაც კოლეჯში არ მიმდინარეობდა. ამჟამად დაწესებულება ახორციელებს მედიკამენტების ვარგისიანობის კონტროლს, მიმდინარეობს მედიკამენტების აღრიცხვა და მედპუნქტში მიმართვიანობის შესახებ ინფორმაციის ჟურნალში გატარება. დაწესებულებამ ვიზიტის მეორე დღეს - 12 ოქტომბერს, წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (N36/კ §1 / 12.10.2018) დამტკიცებული პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი (დანართი 14). აღნიშნული მექანიზმი მოიცავს ქმედებებს, დაწესებულების მიერ პირველადი გადაუდებელი დახმარების განსახორციელებლად.
კოლეჯს ჰყავს დაცვის თანამშრომელი, რომელსაც ევალება წესრიგის უზრუნველყოფა და მისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებით, თუმცა დაწესებულებას შემუშავებული არ აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	დაწესებულების დირექტორის ბრძანებით (N21/კ §4 / 29.06.2018) ცვლილება შევიდა სასწავლებლის დებულებაში, რომელშიც გაიწერა დაცვის თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები (დანართი 21). ამასთან დაწესებულებამ არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს - 12 ოქტომბერს, წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (N36/კ §1 / 12.10.2018) დამტკიცებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმები (დანართი 14).

2.6 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზი აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 2.8 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 7 / პუნქტი თ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

_____

ვებგვერდზე განთავსებული არ არის სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია. კატალოგი და საგანმანათლებლო პროგრამები არ იძლევა სრულ ინფორმაციას პროგრამების და მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ; ინფორმაციის განახლება და სიახლეების განთავსება არ ხდება რეგულარულად; ებგვერდზე განთავსებული არ არის დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა); დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა ახალი ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება, ვადაგასული ხელშეკრულების ნაცვლად. შესაბამისად დარღვეულია ქვესტანდარტი.	დაწესებულების ვებ გვერდზე (www.kmc.edu.ge) განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია. კატალოგი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები იძლევა ინფორმაციას პროგრამების და მისაღწევი სწავლის შედეგების შესახებ. ინფორმაციის განახლება და სიახლეების განთავსება ხდება რეგულარულად. დაწესებულების სტრუქტურა (ორგანოგრამა) წარმოდგენილია ვებ გვერდზე განთავსებულ დებულებაში. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ახალი ვებ-ჰოსტინგის მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულება, ვადაგასული ხელშეკრულების ნაცვლად. 2018 წლის 25 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულებით ირკვევა, რომ დომენური სახელის სარგებლობის უფლებით გადაცემის მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2018 წლის 20 მარტიდან 2019 წლის 26 მარტამდე პერიოდი (დანართი 15).

2.8 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზები აღმოფხვრა.

ქვესტანდარტი 3.3 (ავტორიზაციის დებულების მუხლი 8 / პუნქტი გ) **წინა მონიტორინგის დასკვნაში ასახული ხარვეზები**	**ფაქტობრივი შეფასება მონიტორინგის ჯგუფის განმეორებითი ვიზიტის დროს**
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების დარღვევით. პროფესიული მასწავლებლის შერჩევა უნდა უზრუნველყო პედაგოგიურ საბჭოს, თუმცა დაწესებულებას არ ჰყავს	დაწესებულებამ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთა შერჩევა განახორციელა თავისივე დადგენილი პირობების დარღვევით, რომლის აღმოსაფხვრელად დაწესებულებამ დირექტორის ბრძანებით (N20/კ / § / 25.06.2018) ცვლილება შეიტანა პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----- ------

----- ------

პედაგოგიური საბჭოს მიერ შერჩეული და დირექტორის ბრძანებით დანიშნული არცერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი, როდესაც აღნიშნული რეგულაცია მოქმედებს 2014 წლიდან. დაწესებულებას პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით დარღვეულია შრომის კოდექსით დადგენილი მოთხოვნები - შრომითი ხელშეკრულების არსებითი პირობები. კერძოდ, ხელშეკრულებებში გაწერილი არ არის სამუშაო ადგილი და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი.	მასწავლებლის შერჩევის წესში და შესული ცვლილებების შესაბამისად, პროფესიული მასწავლებლის შერჩევის ეტაპებად განსაზღვრა საბუთების შემოწმება და გასაუბრება, შერჩეულ მასწავლებლებთან კი კონტრაქტების გაფორმება (დანართი 16). შესაბამისად პედაგოგიურ საბჭოს აღარ უწევს მასწავლებელთა შერჩევა და დირექტორისთვის წარდგენა. მიუხედავად რეგულაციაში შესული ცვლილებისა, ხარვეზი არ გამოსწორებულა, რადგან დაწესებულებას ისევ ჰყავს თავისე რეგულაციის დარღვევით დანიშნული პროფესიული განათლების მასწავლებლები. წინა ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხარვეზად დაფიქსირდა პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შრომის კოდექსის დარღვევით იყო შესრულებული და არ ითვალისწინებდა შრომითი ხელშეკრულებების არსებით პირობებს. დაწესებულებამ შრომით ხელშეკრულებებში ცვლილება არ შეიტანა და ვიზიტის პირველ დღეს აღნიშნული ახსნა იმით, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შეცვლას გეგმავდნენ რეავტორიზაციის პერიოდისთვის. ავტორიზაციის ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტეს, რომ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით არაგეგმიური მონიტორინგის დროისთვის დაწესებულებას ყველა დაფიქსირებული ხარვეზი უნდა აღმოეფხვრა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ვიზიტის მეორე დღეს, წარმოადგინეს შრომითი ხელშეკრულებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

--- --- ---

{ქალაქი, წელი}

	ნაცვლად, პროფესიულ მასწავლებლებთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებები, რომლებიც დანომრილია და გატარებულია ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი 17). დაწესებულებამ შრომითი ხელშეკრულებების ჩანაცვლება კანონის დაცვით არ განახორციელა, გამომდინარე იქიდან, რომ პირველ ეტაპზე უნდა გაუქმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმებული პროფესიული განათლების მასწავლებლებთან მომსახურების ხელშეკრულებები. შესაბამისად უნდა მომხადარიყო მათი ხელახალი დანიშვნა პროფესიული განათლების მასწავლებლის პოზიციაზე. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა ვიზიტის მეორე დღეს წარმოდგენილი შრომითი და მომსახურების ხელშეკრულებები. ▪ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულება ითვალისწინებს შრომის კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს - შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობებს (დანართი 18). მომსახურების ხელშეკრულებების შეფასებისას, გამოიკვეთა რომ ხელშეკრულებებში გაპარულია რამდენიმე ტექნიკური ხარვეზი. კერძოდ: ▪ ერთ-ერთი მომსახურების ხელშეკრულების საგნად და შემსრულებლის მიერ შესასრულებელ სამუშაოდ განსაზღვრულია საწარმოო პრაქტიკა ფარმაკოლოგიაში, სამუშაო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____ _____

{ქალაქი, წელი}

	ადგილად კი - კოლეჯის მისამართი (დანართი 19); ▪ მომსახურების ხელშეკრულებები ითვალისწინებს ჩანაწერს, რომ ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი (დასაქმებული) გაეცნო შრომის შინაგანაწესს, როდესაც მსგავსი მარეგულირებელი დოკუმენტი დაწესებულებას არ აქვს (დანართი 20, დანართი 26).

3.3 ქვესტანდარტი: დაწესებულებამ დაფიქსირებული ხარვეზები ვერ აღმოფხვრა.

გაცემული რეკომედაციების შესრულების შეფასება

დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა მონიტორინგისას დასკვნაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ ასახული რეკომენდაციების ნაწილი. კერძოდ:

- დირექტორის ბრძანებით (N21/კ §2 / 29.06.2018) ცვლილება შევიდა პრაქტიკოსი ექთნის (090552) მეხუთე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში. განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, პროგრამის სწავლის შედეგების სქემაში გაიწერა ის სწავლის შედეგები, რომლებიც გაწერილი არ იყო პროგრამაში, მაგრამ გაწერილი იყო სილაბუსებში. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები თანხვედრაში მოვიდა ერთმანეთთან (დანართი 22);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებში ჰოლისტური შეფასების სქემები შემუშავდა იმგვარად, რომ იკვეთება რა შემთხვევაში მიიღებს პროფესიული სტუდენტი 8, 9 ან 10 ქულას. შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასება გახდა სანდო და ვალიდური;
- დაწესებულებას წინა ვიზიტისას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროფესიული სტუდენტები სრულად გაცნობოდნენ შინაგანაწესსა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ აქტებს; პროფესიულ სტუდენტებთან დადებული სასწავლო ხელშეკრულებებით ირკვევა, რომ ისინი გაცნობილი არიან სასწავლებლის დებულების მე-5 თავსა და შინაგანაწესის თავს - სასწავლებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

----- -----

----- -----

ტერიტორიაზე სტუდენტთა ქცევის წესებს; შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულებამ ნაწილობრივ გაითვალისწინა.

- დაწესებულებამ უზრუნველყო სწავლის გადასახადის კრედიტებზე მიბმა და პროფესიულ სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებების ჟურნალში გატარება;
- დაწესებულებამ უზრუნველყო აკადემიური შვებულების საფუძვლების სტუდენტის სტატუსის შეჩერების საერთო საფუძვლებში გაწერა, რისთვისაც დირექტორის ბრძანებით (N20/კ / §1 / 25.06.2018) ცვლილება შევიდა სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესებში.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და სანიტარული კვანძები გამოყო ცალკე - ქალებისთვის და ცალკე - მამაკაცებისთვის.
- დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ევაკუაციის გზებს ევაკუაციის გეგმის შესაბამისად უკვე აქვთ კიბეებისკენ (კიბის უჯრედებისკენ) მიმართულების მანიშნებელი ნიშნები.
- დირექტორის ბრძანებით (N31კ / §4 / 12.09.2018) დამტკიცებული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები იძლევიან გაზომვად, კონკრეტულ, დროში გაწერილ და მიღწევადი მიზნების შესაბამის ინდიკატორებს (დანართი 23, დანართი 24).
- დირექტორის ბრძანებით (231კ / §4 / 29.06.2018) ცვლილება შევიდა სასწავლებლის შინაგანაწესში, სადაც გაიწერა თითოეული თანამდებობისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები (დანართი 25).

IX. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი;
დანართი 2. ქუთაისის სამედიცინო სასწავლებლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
დანართი 3. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სილაბუსი;
დანართი 4. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები;
დანართი 5. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
დანართი 6. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
დანართი 7. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
დანართი 8. პროფესიული სტუდენტის პირადი საქმე;
დანართი 9. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
დანართი 10. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმა;
დანართი 11. კითხვარი პროფესიული სტუდენტებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
--- --- ---

დანართი 12. კითხვარი სტუდენტთათვის პროფესიული მასწავლებლების საქმიანობის შესაფასებლად;
დანართი 13. სტუდენტის მიერ სასწავლებლის ადმინისტრაციული სამსახურების მუშაობის შეფასება;
დანართი 14. უსაფრთხოების დაცვის და პირველადი სამედიცინო დამარების აღმოჩენის მექანიზმები;
დანართი 15. ხელშეკრულება დომენური სახელი(ებ)ის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე;
დანართი 16. პროფესიული მასწავლებლის შერჩევის წესი;
დანართი 17. მასწავლებელთა ხელშეკრულებების რეგისტრაცია 2018-2019;
დანართი 18. დაცვის თანამშრომელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
დანართი 19. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
დანართი 20. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
დანართი 21. დებულება;
დანართი 22. პრაქტიკოსი ექთნის (090552) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
დანართი 23. სტრატეგიული გეგმა 2018-2023;
დანართი 24. სამოქმედო გეგმა 2018-2019;
დანართი 25. შინაგანაწესი;
დანართი 26. პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება;
დანართი 27. ფარმაცევტის თანაშემწის (090351) მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

07.11.2018
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
----

{ქალაქი, წელი}